სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/89

ქ. თბილისი 18 დეკემბერი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში“ 2019 წლის 4 დეკემბერს შესული ცვლილებების გათვალისწინებით (ბრძანება №230/ნ) და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 18 დეკემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტში და რეგლამენტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტს დაემატოს ზ[1] ქვეპუნქტი:

   „ზ[1]. შეარჩევს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) კანდიდატურას“;
2. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**